



## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №8/20

2017 წლის 30 მარტი  
ქალაქი ფოთი

**„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 თებერვლის №5/14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის შესაბამისად სატრანსპორტო საშუალება MERCEDES BENZ C 280 (სარეგისტრაციო ნომერი QEQ 648, გამოშვების წელი – 1999) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) საკუთრებას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 თებერვლის №5/14 განკარგულებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, კერძოდ: ზემოხსენებული მოძრავი ქონების - MERCEDES BENZ C 280 (სარეგისტრაციო ნომერი QEQ 648, გამოშვების წელი – 1999)-ის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმიდან ამოღებასთან დაკავშირებით.

ასევე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმიდან ამოღებულ უნდა იქნეს ამ დროისთვის პრივატიზებული ქალაქი ფოთი, კოსტავას ქუჩა №4-ის მიმდებარედ არსებული 33.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.16.017) და სატრანსპორტო საშუალებები VOLKSWAGEN JETTA 1.6 CL (სარეგისტრაციო ნომერი MCM 070, გამოშვების წელი – 2007) და VAZ 2107 (სარეგისტრაციო ნომერი OHO 252, გამოშვების წელი – 2007).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

### აღნიშნულიდან გამომდინარე:

#### მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 თებერვლის №5/14 განკარგულებაში და განკარგულების დანართი №1 (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა) და დანართი №2 (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმა) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

**მუხლი 3.**

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 30 მარტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია